



KRESTON. KNOWING YOU.

**საბროკერო კომპანია
შპს აბი ასეტ მენეჯმენტი**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროკერო კომპანია
შპს აბი ასეტ მენეჯმენტი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----- 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----- 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----- 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 10

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა----- 10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ----- 21

4. ფული და ფულის ექვივალენტები----- 22

5. საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით----- 22

6. გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ----- 22

7. მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები----- 23

8. სხვა აქტივები----- 23

9. ძირითადი საშუალებები----- 24

10. მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ----- 25

11. სხვა ვალდებულებები ----- 25

12. კაპიტალი ----- 25

13. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები----- 26

14. მოგების გადასახადი ----- 26

15. რისკების მართვა ----- 26

16. დაკავშირებული მხარეები ----- 29

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს პაპიაშვილი კონსალტინგ გრუპ

ლევან პაპიაშვილი
პარტნიორი

პ. ქავთარაძის ქუჩა, 27-ის მიმდებარედ,
სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

29 მარტი, 2018




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, 2017 წლის 31 დეკემბერი
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31/12/2017	31/12/2016
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	89,966	29,277
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	5	488,975	464,851
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	6	83,992	83,992
მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	7	36,080	55,030
სხვა აქტივები	8	4,248	38,442
ძირითადი საშუალებები	9	20,508	32,043
სულ აქტივები		723,770	703,635
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10	10,497	10,916
სხვა ვალდებულებები	11	10,445	28,845
სულ ვალდებულებები		20,943	39,761
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200,000	200,000
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავლები		(3,944)	(3,944)
გაუნაწილებელი მოგება		506,770	467,818
სულ კაპიტალი	12	702,827	663,874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		723,770	703,635



ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

თარიღი: 29.03 2018



თეონა ტყეშელაშვილი
მთავარი ბუღალტერი




2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31/12/2017	31/12/2016
შემოსავალი			
საბროკერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		127,378	156,657
საპროცენტო შემოსავალი		21,680	16,817
იჯარიდან შემოსავალი		106,695	100,877
სხვა შემოსავალი		205	-
სულ შემოსავალი		255,959	274,351
ხარჯი			
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(65,168)	(48,406)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	13	(143,958)	(148,617)
შვილობილების ლიკვიდაცია		-	(48,967)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(7,875)	41,395
სულ ხარჯი		(217,001)	(204,595)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		38,957	69,756
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	14	(5)	(13,768)
საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი)		38,952	55,988
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		38,952	55,988

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი


თარიღი: 29.03 2018



თეონა ტყეშელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული სხვა სრული შემოსავლები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31/12/2015	200,000	(3,944)	364,662	560,719
შვილობილების ლიკვიდაცია პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	-	47,167	47,167
31/12/2016	200,000	(3,944)	467,818	663,874
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	-	38,952	38,952
31/12/2017	200,000	(3,944)	506,770	702,826


ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

თარიღი: 29.03 2018



თეონა ტყემელაშვილი
მთავარი ბუღალტერი



2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31/12/2017	31/12/2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული თანხები		146,027	151,486
ფულადი ნაკადები საიჯარო მომსახურებიდან მიღებული / (გადახდილი) პროცენტები		126,201	118,005
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი		3,916	15,225
გადახდილი საიჯარო ქირა		(51,882)	(42,163)
სხვა გადახდილი თანხები		(122,404)	(114,773)
		(31,673)	(33,818)
წმიდნა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		70,186	93,961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		-	(4,824)
ფულადი სახსრების გადატანა 90 დღეზე მეტი ვადის დეპოზიტებზე		(512,334)	(401,587)
ფულადი სახსრების დაბრუნება 90 დღეზე მეტი ვადის დეპოზიტებიდან		504,126	275,292
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(8,208)	(131,119)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		(1,287)	5,340
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტების წმინდა ცვლილება		60,690	(31,817)
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	29,276	61,093
ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	89,967	29,276

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

თარიღი: 29.03 2018



თეონა ტყემელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "აბი ასეტ მენეჯმენტი" (205207970) დარეგისტრირდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 31 მაისს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აქტივების/საინვესტიციო ფონდების მართვა. მისი ფაქტიური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, #74.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ბიძინა ბექუაშვილი (761314658, 01017003399), რომელმაც აღნიშნული წილი შეისყიდა წინა 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიის შ.პ.ს. BBAM LIMITED -ისაგან (HE210638, კვიპროსი), 2016 წლის 30 ნოემბრის „BBAM LIMITED“-ის კომპანიის დირექტორთა წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპანიას 2016 წლამდე გააჩნდა 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობა ორ შვილობილ საწარმოში: სს "ბელარაშან ინვესტმენტს" და სს "ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ".

სს `ბელარაშან ინვესტმენტს კომპანიამ დააფუძნა 2008 წლის 14 მაისს. კომპანიის შექმნისას მისი საქმიანობის ძირითად საგნად განსაზღვრული იყო საინვესტიციო საქმიანობა, თუმცა ამ კომპანიას არასოდეს განუხორციელებია რაიმე საქმიანობა. 2016 წლის იანვარში ამ კომპანიის ლიკვიდაცია მოხდა.

სს `ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ` დაფუძნებულია 2008 წლის 3 სექტემბერს. კომპანიის შექმნისას მისი საქმიანობის ძირითად საგნად განსაზღვრული იყო საინვესტიციო საქმიანობა, თუმცა 2010 წლის შემდეგ ამ კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე საქმიანობა და 2016 წლის ივლისში მისი ლიკვიდაციაც მოხდა.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება. ასეთია:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღიკვეთასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ

ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით“. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს მოდელში რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილის) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები, ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში. თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირებისას აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებასთან დაკავშირებით.
- აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა ფასს 9-ის გამოყენებით შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2018 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპს. მათ შორის ბასს 18-შემოსავლები, ბასს 11-სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან/თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ოპერაციები შეფასების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ის „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო	გირვანქა
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940	3,2579
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044	3,5005

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღრებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომელიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული, თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება, ასევე, გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალკე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახადსა და ვალდებულებებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ა) ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან (გ) რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. კომპანია მათ თავდაპირველ აღიარებას ახდენს რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს. რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფებიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი სანდო განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური დასაბუთება ცალკე შეფასებული ფინანსური აქტივის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურების თაობაზე, ის ამ აქტივს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ის კოლექტიურად ფასდება გაუფასურების ობიექტზე. ძირითადად კომპანია განიხილავს ისეთ ფაქტორებს ფინანსური აქტივის გაუფასურებაზე, როგორცაა მისი ვადიანობის გასვლა და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ჯგუფების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დასათვლელად. გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად, განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯი დაიკლებს და ეს კლება ხდება გაუფასურების ხარჯის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი სწორდება მოგება ან ზარალის შესაბამისი ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არ გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში ან (სადაც საჭიროა) საწყისი აღიარების წინა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტოტრანსპორტი	5
ოფისის აღჭურვილობა	5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

გასაყიდად გამიზნული აქტივები

კომპანია გასაყიდად გამიზნულ აქტივებს აფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით კომპანია გრძელვადიან აქტივს ანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოდგენილია საბუღალტრო პროგრამის სახით. ის აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკრი სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახდი

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახდი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახდო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახდის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახდების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახდო ვალდებულებების ასახვას.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა ცვლილება მოგების მიმდინარე გადასახადის მოდელთან დაკავშირებით. 2017 წლის 1 იანვრიდან ცვლილება ეხება ყველა ორგანიზაციას, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% გადასახადის განაკვეთს დივიდენდად განაწილებულ მოგებაზე (ასევე გარკვეულ სხვა შემთხვევებზეც), ცვლილებამ დაუყოვნებლივი გავლენა იქონია გადავადებულ საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რის გამოც კომპანიის მოგების გადასახადს ფაქტიურად მხოლოდ მიმდინარე მოგების გადასახადი წარმოადგენს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია-აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდილი ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებლობაში განივებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდილი მოვალეობა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული ბანკში	15,833	28,591
დეპოზიტები 90 დღეზე ნაკლები ვადით	73,768	-
ფული ს.ს. "გალტ ენდ თაგგარტ სექიურითი"-ს ანგარიშზე	366	686
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	89,966	29,277

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
ვალუტების მიხედვით**

	2017	2016
ქართული ლარი (GEL)	11,632	14,640
ა.შ.შ დოლარი (USD)	76,478	8,076
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	1,848	6,554
ევრო (EUR)	7	6
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	89,966	29,277

5. საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით

**90 დღეზე მეტი ვადის მქონე საბანკო დეპოზიტები
ვალუტების მიხედვით**

	2017	2016
დეპოზიტები ლარში (GEL)	33,167	20,000
დეპოზიტები ა.შ.შ. დოლარში (USD)	455,808	444,851
სულ საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	488,975	464,851

6. გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

ფასიანი ქაღალდები

	2017	2016
"კავკაზუს ენერჯი & ინფრასტრუქტურა"-ს აქციები	79,892	21,492
"კავკაზუს ენერჯი & ინფრასტრუქტურა" (GDR)	-	58,400
ს.ს. "საქართველოს საფონდო ბირჟა"-ს აქციები	4,100	4,100
სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	83,992	83,992

7. მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები

	2017	2016
საიჯარო მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა	10,780	11,081
საბროკერო მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა	25,300	43,949
სულ მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	36,080	55,030

8. სხვა აქტივები

	2017	2016
ავანსად გადახდილი გადასახადები	2,235	30,191
სხვა ავანსები	515	923
მარაგები	1,498	4,852
ბანკისგან დეპოზიტებზე მისაღები პროცენტები	-	2,477
სულ სხვა აქტივები	4,248	38,442

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ. ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	49,274	10,557	1,817	61,648
დამატება	-	4,824	-	4,824
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	49,274	15,380	1,817	66,472
დამატება	-	30	-	30
გასვლა	-	(70)	-	(70)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	49,274	15,340	1,817	66,431
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	(14,688)	(7,230)	(1,596)	(23,513.81)
პერიოდის ცვეთა	(9,881)	(816)	(221)	(10,919)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(24,569)	(8,046)	(1,817)	(34,433)
პერიოდის ცვეთა	(9,855)	(1,636)	-	(11,491)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(34,424)	(9,682)	(1,817)	(45,924)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	34,587	3,327	221	38,135
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	24,706	7,334	-	32,039
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	14,851	5,657	-	20,508

10. მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	2017	2016
გადასახდელი იჯარა	10,457	10,752
სხვა კრედიტორული დავალიანება	39	164
	10,497	10,916

11. სხვა ვალდებულებები

	2017	2016
საგადასახადო ვალდებულებები	-	20,692
სადეპოზიტო სერტიფიკატების არარეალიზებული პროცენტი	10,445	8,153
სულ სხვა ვალდებულებები	10,445	28,845

12. კაპიტალი

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით 2015 წლის 1 იანვრიდან კაპიტალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 500,000 ლარს მაინც. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 703,090 ლარს და შესაბამისად მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია აკმაყოფილებს მოთხოვნას. დივიდენდების გატანის შესახებ მფლობელის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არ გაიტანონ დივიდენდი, რათა კომპანიის კაპიტალი შესაბამისობაში დარჩეს კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნასთან.

13. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2017	2016
საიჯარო ქირა	(103,483)	(98,148)
ცვეთა და ამორტიზაცია	(11,558)	(10,920)
ჩაუთვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი	(10,705)	(10,991)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(7,834)	(5,376)
აუდიტის ხარჯი	(4,089)	(10,033)
რემონტის ხარჯი	(2,525)	(4,185)
კომუნიკაციის ხარჯი	(925)	(985)
ქონების გადასახადის ხარჯი	(263)	(355)
მივლინების ხარჯი	-	(6,588)
სხვა ხარჯი	(2,576)	(1,036)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(143,958)	(148,617)

14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	(5)	(14,635)
გადავადებული გადასახადის ცვლილება		868
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	(5)	(13,768)

15. რისკების მართვა

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის არის საბანკო ანგარიშებზე მისი ფულადი სახსრების და სხვა მისაღები თანხების ნაშთების ჯამის ტოლი, ანუ ეს არის ის თანხები, რაც სხვა მხარეებისგან არის მისაღები ბალანსის თარიღისთვის. ფულადი სახსრები განთავსებულია ისეთ ბანკებში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია მათგან ამ ფულს პირველივე მოთხოვნისას ვერ მიიღებს. დანარჩენი მისაღები თანხებიც ისეთი კომპანიებიდან არის, საიდანაც საკრედიტო რისკის წარმოქმნის ალბათობა მინიმალურია. აქედან გამომდინარე, კომპანიას არ გააჩნია არსებითი საკრედიტო რისკი.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(ბ) სავალუტო რისკი

31/12/2017	GEL	USD	GBP	EUR	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,632	76,478	1,848	7	89,966
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	33,167	455,808	-	-	488,975
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	83,992	-	-	-	83,992
სხვა ფინანსური აქტივები	36,080	-	-	-	36,080
სულ	164,872	532,286	1,848	7	699,013
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10,497	-	-	-	10,497
სადეპოზიტო სერტიფიკატების არარეალიზებული პროცენტი	10,445	-	-	-	10,445
სულ	20,942	-	-	-	20,942
სავალუტო პოზიცია	143,930	532,286	1,848	7	678,071

ზემოთმოყვანილი ცხრილის მიხედვით კომპანიას სავალუტო პოზიცია ყველა ვალუტასთან მიმართებაში დადებითი აქვს. ის დგას მხოლოდ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივების სავალუტო რყევების გამო გაუფასურების რისკის წინაშე. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი სახის რისკიც მინიმალურია, რადგან ბოლო ტენდენციების მიხედვით მოცემული ვალუტების მხოლოდ გამყარებას აქვს ადგილი.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფულადი ნაკადები და მათი ექვივალენტები	89,966	-	-	89,966
სადეპოზიტო სერტიფიკატები 90 დღეზე მეტი ვადით	-	454,872	34,103	488,975
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	83,992	-	-	83,992
მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	36,080	-	-	36,080
სულ აქტივები	210,038	454,872	34,103	699,013
ვალდებულებები				
ვალდებულება ბანკის მიმართ (სადეპოზიტო სერტიფიკატები)	-	9,269	1,176	10,445
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10,497	-	-	10,497
სულ ვალდებულებები	10,497	9,269	1,176	20,942
წმინდა პოზიცია	199,541	445,603	32,927	678,071

კომპანიის ბალანსში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმრავლესობა არის მოკლევადიანი (1 წელზე ნაკლები ვადით). 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ფინანსური აქტივები ფინანსურ ვალდებულებებს 27-ჯერ აღემატება და შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი რისკი.

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ანგარიშგების პერიოდში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები მოიცავს ხელფასის დარიცხვას მართვის პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირებზე:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	2017	2016
დარიცხული ხელფასი:		
მენეჯმენტი	35,653	21,438
სულ დარიცხული ხელფასი	35,653	21,438

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ ფლობილი გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 79,892 ლარის ღირებულებით, წარმოადგენს კომპანიის აქციებს, რომელიც დაკავშირებული მხარეა, კერძოდ, შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ 100% წილის მფლობელი ბიძინა ბეჟუშვილი, ფლობს სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტურა“-ს აქციების საკონტროლო პაკეტს.



www.kreston.ge

A global network of independent accounting firms

 MEMBER OF THE
FORUM OF FIRMS

27 Kavtaradze Str., Tbilisi
Floor #3, Office 4

Tel: 032 248 37 39; 574 000 420; 595 333 860
E-mail : l.papiashvili@kreston.ge ; d.papiashvili@kreston.ge

